




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№2, 2015





კონკურსები

2015 წლის I და II კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

1. 26 ივნისს გამოვლინდნენ მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებულები. (საკონკურსო ფონდი 150 000 ლარი), შემოვიდა 7 პროექტი, დაფინანსდა 2:

- მეთევზე და გოგონა (პროდიუსერი - შპს „20 Steps Productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი) - 190 ქულა.
- შეყვარებული ბაყაყი (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი) – 159 ქულა.

2. 20 ივნისს გამოვლინდნენ 21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციის კონკურსის გამარჯვებულები. შემოვიდა 9 პროექტი, დაფინანსდა 5:

- „უღელტეხილი“ (პროდიუსერი - შპს „ალამდარი“ დირექტორი - ნინო დევდარიანი, სცენარის ავტორი - გურამ ოდიშარია);
- „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, სცენარის ავტორი - გია ალვიძე, თინათინ ყაჯრიშვილი);
- „ასინქრონი“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდიო“ დირექტორი - რუსუდან ჭყონია, სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე);
- „დიდი ძუ დათვი“ (პროდიუსერი - შპს „ლირა ფროდაქშენი“ დირექტორი - ლალი კიკნაველიძე, სცენარის ავტორი - მიხო მოსულიშვილი);
- „ფოქს-ტროტი“ (პროდიუსერი - „Takes film“ დირექტორი - ქეთი დანელია, სცენარის ავტორი - ირაკლი შავლიაშვილი, ზურაბ ქარუმიძე).

3. 30 აპრილს გამოვლინდნენ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებულები. (საკონკურსო ფონდი 250 000 ლარი), შემოვიდა 40 პროექტი, საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 5 პროექტი.

- „უცხო“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გიორგი მუხაძე).
- „ანა“ (პროდიუსერი - შპს „ფოქს პროდაქშენს“ დირექტორი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - მარგალიტა ზუბაშვილი).
- „სამი საფეხური“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ დირექტორის მინდობილი პირი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - იოსებ ბლიაძე).
- „ანდრო“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი).
- „ნიკო“ (პროდიუსერი - შპს „რეფრეშ სტუდია“ დირექტორის მინდობილი პირი - თეა აბაშაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).

4. 29 აპრილს გამოვლინდნენ სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსის გამარჯვებულები. (საკონკურსო ფონდი 300 000 ლარი), შემოვიდა 29 პროექტი, დაფინანსდა 8:

- „მზის ქალაქი“ (პროდიუსერი - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ დირექტორი - რატი ონელი, რეჟისორი - რატი ონელი).
- „მოუსმინე სიჩუმეს“ (პროდიუსერი - ააიპ „ოპიოდოკი“, დირექტორი - ნინო ჯინჭარაძე, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).
- „ვსაუბრობთ ფულზე“ (პროდიუსერი - შპს „ზაზა ფილმი“ დირექტორი - ზაზა რუსაძე, რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).
- „ქალები რომლებიც ცურავენ“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“ დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - ანა ბუკია).
- „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (პროდიუსერი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- „პური და სანახაობა“ (პროდიუსერი - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- „რამაზ ჩხიკვაძე“ (პროდიუსერი - ი/მ რატი რეხვიაშვილი, რეჟისორი - ალექსანდრე რეხვიაშვილი).
- „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).

მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps productions“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“ დირექტორი - ნანა ექვთიმიშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ დირექტორი - რატი ონელი, რეჟისორი - რატი ონელი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პური და სანახაობა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „ოპიოდოკი“ დირექტორი - ნინო ჯინჭარაძე, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე „რატი რეხვიაშვილი“, რეჟისორი - რატი რეხვიაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენციაშვილი).

„მოუსმინე სიჩუმეს“ რეჟ. - მარიამ ჭაჭია





„მზის ქალაქი“ რეჟ. - რატი ონელი

„მზის ქალაქი“ რეჟ. - რატი ონელი

- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი-ნათია გოგალაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ო“, რეჟისორი -ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დღე როგორც ერთი თვე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლაკუმი“, რეჟისორი- რეზო ესაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია 99“დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი -ნინო ბასილია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიის კინოსერვისი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ზალათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე).

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაყინული შადრევნების წელიწადი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „29 +“, რეჟისორი - ივანე ბურდული).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARKK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორები - სალომე მაჩაიძე, თამარ ქარუმიძე, დავით მესხი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერლინის ახალი კედელი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „თი-სტუდია“, რეჟისორი - თომა ჩაგელიშვილი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ქართულ-უცხოური წარმოების პროექტი „ორმაგი უცხოები“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - უგის ოლტე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეჭეღეხე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „REAKTORMONKEYY“ თორნიკე ზზიავა, რეჟისორი - თორნიკე ზზიავა).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი სახლი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე).

„მეჭეღეხე“ - რეჟ. თორნიკე ზზიავა



„მეჭეღეხე“ - რეჟ. თორნიკე ზზიავა





საქართველო ნიონის კინოფესტივალის ფოკუსში

ნიონის კრეატიული დოკუმენტური ფილმების ფესტივალის ფოკუსში წელს საქართველო მოხვდა. ქართულმა დელეგაციამ ფესტივალზე საქართველო 19-22 აპრილს წარადგინა და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც 21-ე საუკუნის ქართული დოკუმენტური კინოს რეტროსპექტივა ასე ფართოდ, საერთაშორისო მასშტაბით გაიმართა. ამ თემაზე ეროვნული კინოცენტრი 1 წლის განმავლობაში მუშაობდა. ფესტივალის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა ჯერ კიდევ 2014 წლის ბერლინალეზე დაიწყო.

ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნა 15 ქართული თანამედროვე დოკუმენტური ფილმი (2000 – 2014 წლებში შექმნილი), რომლებიც ფესტივალის წარმომადგენლებმა თავად შეარჩიეს.

1. „ახმეტელის 4“ (2006) - არჩილ ხეთაგური
2. „ამერიკა ერთ ოთახში“ (2007) - დავით კანდელაკი
3. „ანარეკლი“ (2010) - გიორგი მრევლიშვილი
4. „ბახმარო“ (2011) - სალომე ჯაში
5. „ბიბლიოთეკა“ (2014) - ანა ციმინტია
6. „გემდერებოდეს დედაო“ (2008) - ზურაბ ინაშვილი
7. „მეიდანის სამყაროს ჭიპი“ (2005) - დათო ჯანელიძე
8. „დადუმებულები“ (2009) - სალომე ჯაში
9. „ხიდი“ (2005) - ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი
10. „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (2012) - თინათინ გურჩიანი
11. „ხელმწიფე“ (2014) - ნინო ჩუტკერაშვილი, შალვა შენგელი
12. „ცხოვრება ტრანზიტში“ (2010) - თამუნა ჯალაღანია, ვალერი ლეონი
13. „ნეტავ იქ თეატრი არის?“ (2011) - ნანა ჯანელიძე
14. „პირიმზე“ (2014) - სოფია ტაბატაძე
15. „მილსადენი მეზობლად“ (2005) - ნინო კირთაძე

ასევე, წელს ნიონის ფესტივალის საკონკუსო პროგრამაში ქართველი რეჟისორის, ნინო გოგუას ფილმი „მადონა“ მონაწილეობდა.

ფილმების ჩვენების გარდა, ქართველ კინემატოგრაფისტებს საშუალება ჰქონდათ საზოგადოებისთვის საკუთარი პროექტები წარედგინათ. ნიონის ფესტივალის წარმომადგენლების მიერ შერჩეული 6 ქართული პროექტიდან გამარჯვებულის ტიტული და 10 000 ფრანკი თინათინ გურჩიანის პროექტმა „სატრფიალო. პასტორალი“ მოიპოვა, რატი ონელის - „მზის ქალაქი“ კი ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

წელს ფესტივალზე საკმაოდ წარმომადგენლობითი ქართული დელეგაცია გაემგზავრა, რომელთა შორისაც იყვნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ნანა ჯანელიძე, პროდიუსერი - ანა ძიაშვილი, რეჟისორი - არჩილ ხეთაგური და ასევე ფესტივალზე წარდგენილი ფილმებისა თუ პროექტების ავტორები.

ნიონის კრეატიული დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 1969 წელს დაფუძნდა. იგი დოკუმენტური ფილმების პირველი ფესტივალი იყო, რომელმაც გზა გაუხსნა და ასპარეზი მისცა ე.წ. აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების დოკუმენტალისტიკას. ფესტივალზე წარდგენილ ფილმებში ყოველთვის მკაფიოდ არის გამოხატული რეჟისორის ხედვა კრეატიული კინემატოგრაფიული ხერხით, თავად ფილმები კი ნოვატორული, დამაინტრიგებელი და დროის შესაბამისია, რაც საზოგადოების დაინტერესებას და დისკუსიაში ჩართვას უწყობს ხელს.



კანის საერთაშორისო კინოფესტივალი

13-დან 24 მაისის ჩათვლით საფრანგეთში კანის 68-ე საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართა. ფესტივალის ფარგლებში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს პავილიონში. შედგა მრავალი საინტერესო შეხვედრა, მათ შორის სხვადასხვა პრესტიჟული კინოფესტივალების წარმომადგენლებთან.

კანის ფესტივალის ინდუსტრიული შეხვედრების შედეგები ასეთია:

- **შეხვედრები კინოფესტივალების წარმომადგენლებთან**

ბოლო წლებში ქართული ფილმების წარმატებამ განაპირობა ის, რომ ქართული კინოინდუსტრიით ინტერესდებიან ისეთი ფესტივალური როგორებიცაა ვენეციის, სან-სებასტიანის თუ ტორონტოს კინოფესტივალები.



ნიონის დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე წელს ფოკუსში საქართველო იყო, რის შემდეგაც ჩვენი ქვეყნით და ქართული პროექტებით ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების ფესტივალი (IDFA) დაინტერესდა, რომელიც მსოფლიოში დოკუმენტური კინოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფესტივალად მიიჩნევა.

ტალინის („ა“ კლასის) საერთაშორისო კინოფესტივალზე (რომელიც 2014 წლიდან FIAF-ის მიერ არის ავტორიზებული) წელს ფოკუსში საქართველოა. შესაბამისად, იგეგმება ახალი ქართული ფილმების საკონკურსო პროგრამისთვის შეთავაზება.

- **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურის პროგრამა**

შედგა შეხვედრები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურის პროგრამის ხელმძღვანელებთან. შეხვედრებზე განიხილეს ქართული კინოცენტრისა და კინოსექტორის წარმატება, გამჭვირვალობის წარმატებულ მაგალითად კი მოყვანილ იქნა საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის კონკურსები, რადგან ყოველი კონკურსისთვის დგება ახალი საექსპერტო კომისია. კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელმა და უფროსმა ექსპერტმა ტერის სანდელმა აღნიშნა, რომ ქართული კინოცენტრისა და კინოსექტორის პრაქტიკა მაგალითი უნდა გახდეს ზოგადად ევროპის და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დანარჩენი ქვეყნებისთვის. ასევე, ევროკავშირის მხარდაჭერით დაიგეგმა ქართული კანონმდებლობის კვლევა, რათა იგი ესადაგებოდეს ევროპულ პრაქტიკას.

- **ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია**

შედგა შეხვედრა ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის წარმომადგენლებთან და დაიგეგმა ობსერვატორიაში საქართველოს გაწევრიანების კონკრეტული ნაბიჯები, რის შემდეგაც მის მთავარ გამოცემებში ქართული ინდუსტრიის მონაცემთა წარმოდგენაც მოხდება.

ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია წარმოადგენს ევროსაბჭოს მიერ დაფუძნებულ ევროპული აუდიოვიზუალური ინდუსტრიის სტატისტიკის, ანალიტიკისა და კინოპოლიტიკის განმსაზღვრელ უდიდეს ორგანიზაციას, რომლის მონაცემებსაც ეყრდნობა ყველა მსხვილი საკონსულტაციო და კვლევითი კომპანია. ორგანიზაციაში გაწევრიანება ქართულ კინოსექტორს საშუალებას მისცემს განიხილებოდეს, როგორც ევროპული კინოსექტორის შემადგენელი ნაწილი და მისი მონაცემები ფიგურირებდეს ორგანიზაციის ყველა მსხვილ გამოცემაში.

ობსერვატორიაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ასევე დაგეგმილია ევროსაბჭოს წარმომადგენელთა და ექსპერტთა დელეგაციის ვიზიტი საქართველოში.



- **„Shoot Books”**

წელს, კანის კინოფესტივალზე უკვე მეორედ მოეწყო ფრანგი გამომცემლების პიჩინგი - გადაიღე წიგნები (Shoot Books). ასევე გაიმართა შეხვედრა ამ პროექტის ხელმძღვანელთან ნატალი პიასკოვსკისთან და მენტორ იზაბელ ფოვიესთან. საგულისხმოა, რომ ეროვნულ კინოცენტრში იგივე პროცესი მიმდინარეობს. გამოცხადდა კონკურსი პროექტისთვის „21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შექმნა”. გამარჯვებულები ივნისის თვეში გამოვლინდნენ.

- **კანის კრიტიკოსთა კვირეული**

კანის „კრიტიკოსთა კვირეულის” ხელმძღვანელთან, შარლ ტესონთან შეხვედრის შემდეგ უკვე მესამედ გადაწყდა „კრიტიკოსთა კვირეულის” საუკეთესო ფილმების ჩამოტანა საქართველოში - ასევე დაიგეგმა ქართველ კრიტიკოსთა ტრენინგი. ეს იქნება ამგვარი თანამშრომლობის პირველი შემთხვევა, ტრენინგს კი თავად შარლ ტესონი ჩაატარებს. გამარჯვებული კრიტიკოსი ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით „ა” კლასის ფესტივალზე გაემგზავრება.

- **ამსტერდამის საბავშვო ფილმების ფესტივალი**

გაიმართა შეხვედრა სინეკიდის (ამსტერდამის საბავშვო ფილმების ფესტივალი) ხელმძღვანელებთან, სადაც საბავშვო ფილმების სცენარის განსავითარებლად ვორქშოპის ჩატარება და სამომავლო თანამშრომლობა დაიგეგმა.

- **EAVE (European Audiovisual Entrepreneurs)**

შედგა შეხვედრა პროდიუსერთა ევროპული ასოციაციის, იავეს ხელმძღვანელებთან იანი თილჰილთან და კრისტინა ტრაპთან. ასევე დაიგეგმა პროდიუსერებთან, სცენარისტებთან და რეჟისორებთან ერთად ვორქშოპის ჩატარება.

- **MAIA**

მაია ვორქშოპის ხელმძღვანელთან, გრაციელა ბილდესჰაიმთან შეხვედრის შემდეგ დაიგეგმა თანამშრომლობა 2016 წელს პროდიუსერთა გადამზადების კუთხით.

- **საერთაშორისო კინოკომისიების ასოციაცია და Cash Rebate**

შედგა შეხვედრა საერთაშორისო კინოკომისიების ასოციაციის დირექტორთან ქევინ კლარკთან, თემაზე Cash Rebate - უცხოელებისთვის ფილმწარმოების წახალისების მიზნით, ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემა. ამავე მიმართულებით გაიმართა კონსულტაციები ასევე კოლუმბიის კინოკომისიის დირექტორთან კლაუდია ტრიანა დე ვარგასთან და მაკედონიის სააგენტოს ხელმძღვანელთან დარკო ბასესკისთან. კოლუმბიის მიერ მიღებული საშეღავათო სისტემის შედეგად ქვეყანა გადაიქცა რეგიონის ლიდერად კინოწარმოების კუთხით. რაც შეეხება მაკედონიას - ამ ქვეყანამ ერთი წელია რაც ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემა დანერგა, რის შემდეგაც ქვეყანაში უცხოური კინოწარმოებების რაოდენობა მკვეთრად გაზარდა.

- **ამერიკელი და ინდოელი კინოწარმოებლები საქართველოში ინტერესდებიან**

ქართული პავილიონის მუშაობისას, ბევრმა უცხოელმა კინოწარმოებელმა გამოთქვა საქართველოში გადაღების ინტერესი, მათ შორის ყველაზე მეტად ამერიკელი და ინდოელი პროდიუსერები აქტიურობდნენ. ინდოელებისთვის ლოკაციის შესარჩევად მთავარი კრიტერიუმი მრავალფეროვანი ბუნება, ქალაქები და მარტივი ბიუროკრატიაა, ამერიკელების მთავარ ინტერესს კი ქვეყანაში საშეღავათო სისტემის - Cash Rebate - არსებობა წარმოადგენს.

- **შეხვედრა საფრანგეთის კინოკოლექციების ხელმძღვანელთან**

შედგა შეხვედრა საფრანგეთის კინოკოლექციების ხელმძღვანელთან - ბეატრის დე პასტრისთან, რომელთანაც კინოცენტრი აქტიურად თანამშრომლობს და ის თბილისში სამუშაო ვიზიტითაც იმყოფებოდა. დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები ქართული კინოკოლექციების შენახვასთან დაკავშირებით.

- **მუნიციპალური კინოთეატრების ქსელის შექმნა**

მუნიციპალური კინოთეატრების ქსელის შექმნასთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრა საფრანგეთის ატაშესთან აუდიოვიზუალურ დარგში ფანი ობრი-მალარისთან და ჟოელ შაპრონთან - უნიფრანსის წარმომადგენელთან.

- **ვორქშოპების დაგეგმვა**

დაიგეგმა სცენარის განვითარების ვორქშოპები. ასევე, ფინეთის და ლიტვის კინოფონდების ხელმძღვანელებთან შეხვედრების შედეგად დაიგეგმა, ერთობლივი ვორქშოპი „შემოქმედებითი ევროპის“ დაფინანსებით.

- **ქართული კინოს დღეები ვარშავაში**

პოლონეთის კინოინსტიტუტთან გრძელდება აქტიური თანამშრომლობა. დაიგეგმა ნოემბერში ქართული კინოს დღეების გამართვა ვარშავაში.

- **„შემოქმედებითი ევროპა“**

ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის“ (Creative Europe) ფარგლებში შედგა შეხვედრები ევროკავშირისა და ევროკომისიის წარმომადგენლებთან, ასევე პროგრამაში მონაწილე ქვეყნების სამსახურების ხელმძღვანელებთან. დაიგეგმა პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა და პროგრამით დაინტერესებული ქართული ორგანიზაციებისათვის ევროპელი პარტნიორების მოძიებაში დახმარება.


შეხვედარზე გადაწყდა ევროკომისიის საკომუნიკაციო გენერალური დირექტორატის მედიის მხარდაჭერის პროგრამების განყოფილების წარმომადგენლის, დაგ ასბიორსენის ვიზიტი საქართველოში.

განხილულ იქნა საქართველოს ამჟამინდელი მონაწილეობა ქვე-პროგრამა მედიაში. ევროპელ კოპროდიუსერ პარტნიორებთან ერთად, ქართულ კინომწარმოებელ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ აუდიოვიზუალური პროექტების განვითარების მხარდაჭერა მოიპოვონ. ევროკომისიის წარმომადგენლებთან ასევე განხილულ იქნა საქართველოს მიერ მედიის ქვე-პროგრამაში სრულად მონაწილეობისათვის დასაკმაყოფილებელი პირობები.

შემოქმედებითი ევროპის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, საუბარი იყო ასევე საქართველოში საკანონმდებლო ცვლილებების შესაძლებლობა და ევროპელ კანონმდებლებთან სინქრონიზაციაზე, (მაგალითად: ევროპული აუდიოვიზუალური ნაწარმოებების მხარდაჭერა ტელემარწეებლების მიერ, ასევე სატელევიზიო რეკლამისა და პროდუქტის განთავსების რეგულაციების განახლება).

ანა ჩუბინიძის „ჯიზის კაცი“ ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე

15-დან 20 ივნისის ჩათვლით საფრანგეთში ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობდა. ფესტივალის ფარგლებში (Annecy du Monde), 19 ივნისს შედგა ანა ჩუბინიძის პროექტის „ჯიზის კაცი“ პრეზენტაცია. ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ბაზრობამ (MIFA) კინოცენტრთან ერთად გამოაცხადა კონკურსი, რაც ანა ჩუბინიძის გა-



მაჯვებით და „ჯიზის კაცის“ საერთაშორისო მასშტაბის პრეზენტაციით დაგვირგვინდა. (გამარჯვებული პროექტი თავად ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ბაზრობამ შეარჩია. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული ანიმაციის ისტორიაში, როდესაც მსგავსი მასშტაბის კონკურსი ქართული და ფრანგული მხარეების მიერ ერთობლივად გამოცხადდა.)

პროექტი „ჯიზის კაცი“ ეროვნული კინოცენტრის ხელშეწყობით განვითარდა. ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის მიერ შერჩეული პროფესიონალი ოლივიერ კატერინი თბილისს რამდენიმე დღით ესტუმრა და 1 მაისის ჩათვლით სასტუმროში „რუმს ჰოტელ თბილისი“ ვორქშოპები ჩაატარა. მან გამარჯვებული პროექტის დახვეწაზე ავტორებთან ერთად იმუშავა და იგი ფესტივალზე წარსადგენად მოამზადა.

ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 1960 წელს დაარსდა და ამ პერიოდიდან მოყოლებული საფრანგეთის ქალაქ ანსიში ტარდება. წელს ფესტივალს 55 წლის იუბილე ჰქონდა. მან სტარტი 15 ივნისს აიღო და 20 ივნისამდე გაგრძელდა.



ლანა ლოლობერიძისა და ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმები მიანმარის კინომემკვიდრეობის ფესტივალზე

ლანა ლოლობერიძისა და ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმები მიანმარის კინომემკვიდრეობის ფესტივალზე (Memory Film Festival) აჩვენეს. საფესტივალო ჩვენებებს ქართველი რეჟისორები თავად ესწრებოდნენ. ფესტივალის 50 ფილმს შორის იყო ლანა ლოლობერიძის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ და ნუცა ალექსი-მესხიშვილის „კრედიტის ლიმიტი“, ასევე ნუცა ლოლობერიძის ფილმი „ბუბა“. კინომემკვიდრეობის ცნობილ ფესტივალზე საქართველო ერთი ოჯახის რეჟისორთა სამმა თაობამ წარადგინა.

Memory Film Festival - კინომემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია აზიაში, რომელიც წელს ქალებს მიეძღვნა. მსოფლიო კინოსამყაროს არაერთ ცნობილ წარმომადგენელთან ერთად ფესტივალს სპეციალური სტუმრის რანგში ფრანგული კინოს ვარსკვლავი - კატრინ დენევი ესწრებოდა.

Memory Film Festival მიანმარში 28 ივნისს გაიხსნა და 7 ივლისს გრანდიოზული საზეიმო ცერემონიით დაიხურა.

გიორგი ოვაშვილის “სიმინდის კუნძული” საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოგზაურობას აგრძელებს

გიორგი ოვაშვილის “სიმინდის კუნძული” საერთაშორისო ფესტივალებზე მოგზაურობას აგრძელებს. მოპოვებულ ჯილდოებს ბოლო სამი თვის მანძილზე შეემატა ჟიურის საპატიო პრიზები ესპანეთის (FESTIVAL INTERNACIONAL DE CINE MEDIOAMBIENTAL DE CANARIAS) და პერუს (FESTIVAL AL ESTE DE LIMA) საერთაშორისო კინოფესტივალებზე.

ასევე “სიმინდის კუნძულის” ჩვენება შედგა კანისა და სიეტლის კინოფესტივალების არასაკონკურსო პროგრამაშიც. დანარჩენი ფესტივალების სია კი ასე გამოიყურება:

ESKISEHIR INTERNATIONAL FILM FESTIVAL (Eskisehir, Turkey)
CROSSING EUROPE FILM FESTIVAL (Linz, Austria)
MOOVE – FILMS FACING THE WORLD (Brugge & Turnhout, Belgium)
GO EAST FILM FESTIVAL (Wiesbaden, Germany)
CINEMA D'AUTOR DE BARCELONA (Barcelona, Spain)
CYPRUS FILM DAYS (Nicosia, Cyprus)
34th MINNEAPOLIS ST. PAUL INTERNATIONAL FILM FESTIVAL
TITANIC INTERNATIONAL FILM FESTIVAL (Budapest, Hungary)



ზაზა ურუშაძე ამერიკის კინოაკადემიის წევრია

ამერიკის კინოაკადემიამ ოფიციალურ ვებ გვერდზე 27 ივნისს მისი ახალი წევრების სია გამოაქვეყნა. ახალ წევრებს შორის ოსკარის ნომინანტი ფილმის, “მანდარინების” რეჟისორი ზაზა ურუშაძეც მოხვდა. 3 დღის შემდეგ, 30 ივნისს კი ფილმი ევროპარლამენტში აჩვენეს. ასევე იგეგმება “მანდარინების” ჩვენება გაეროში.

პარალელურად “მანდარინები” ესპანეთისა და საბერძნეთის კინოგაქირავების ლიდერია. სულმალეკი ფილმი საფრანგეთის, თურქეთის, ლათინო ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის და ავსტრალიის კინოთეატრებშიც გამოვა.



თბილისის მე-9 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“

2-დან 6 ივნისის ჩათვლით თბილისში მე-9 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ გაიმართა. სტუდენტური კინოს კვირეული კულტურისა და მეგლთა დაცვის სამინისტროს, ქალაქ თბილისის მერიისა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით მოეწყო.

გამარჯვებულთა სია ასე გამოიყურება:

- გრან-პრი - “ფრაგმენტები” / აგა ვოსზჟინსკა / პოლონეთი
- საუკეთესო მხატვრული ფულმი - “მე, ისინი და მამა” / სალომე ვეფხვაძე / საქართველო
- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - “ტოროლები და ბუები” / ზაქარ ჩერქეზიშვილი / საქართველო
- საუკეთესო ანიმაციური ფილმი - “ორი მეგობარი” / ნატალია ჩერნიშევა / საფრანგეთი
- საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი - “ჩვენებური” / დენის კოლეროვი / რუსეთი



ჟიურის სპეციალური პრიზი - “მოწყალეა” / ბენჟამინ დიზდარევიჩი / ბოსნია-ჰერცეგოვინა
 ასევე, ჟიურიმ გასცა სპეციალური დიპლომები იმ სპეციალობების მიხედვით, რომელთაც ეუფლებიან
 სტუდენტები მსოფლიოს კინოსკოლებში.

2015 წლის „ამირანის“ ჟიური დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი
 სასწავლებლების წარმომადგენლებით. ფესტივალის დახურვის ცერემონიაზე ასევე დაესწრნენ
 კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და ეროვნული კინოცენტრის
 დირექტორი ნანა ჯანელიძე, რომელთაც გამარჯვებულებს წარმატება მიულოცეს.

საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალისთვის ჯიფონი-საქართველო 2015 ჟიურის წევრების შერჩევა დაიწყო

საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალისთვის ჯიფონი-საქართველო 2015 ჟიურის წევრების
 შერჩევა დაიწყო. ფესტივალის მასპინძელი თბილისი 16-19 ოქტომბერს იქნება და მასში 8 ქვეყნის
 500 მოზარდი მიიღებს მონაწილეობას. კინოფესტივალის პროგრამა გარდა კინოჩვენებებისა
 ითვალისწინებს დისკუსიებს, რეჟისორებსა და მსახიობებთან შეხვედრებს, ვორკშოპებსა და
 დამატებით აქტივობებს.

მოზარდები ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ჟიურის წევრები, ისინი განაწილდებიან
 ასაკის შესაბამისად +13 და +16 კატეგორიებში.

- +13 ასაკობრივი კატეგორია: მოზარდები, დაბადებულები 1999 წლის 25 ოქტომბრიდან – 2002
 წლის 15 ოქტომბრამდე;

- +16 ასაკობრივი კატეგორია: მოზარდები, დაბადებულები 1997 წლის 25 ოქტომბრიდან – 1999
 წლის 15 ოქტომბრამდე;

მონაწილეობის მსურველები უნდა დარეგისტრირდნენ საქართველოს კინემატოგრაფიის
 ეროვნული ცენტრის ვებ გვერდზე www.gnfc.ge ან შემდეგ მისამართზე: https://docs.google.com/forms/d/1V3t3oD9K_nWvPdAxfU0KrF4E0gQRGkwK44sjBeEl59c/viewform?usp=send_form

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2015 წლის 31 ივლისი . 2015 წლის აგვისტოს ბოლოს გამოქვეყნდება
 შერჩეული ჟიურის წევრი მოზარდების სიები.





2016 წლიდან საქართველო ვატიკანის მიერ ორგანიზებულ კინოფესტივალში „მესამე ათასწლეული“ ჩაერთვება

2016 წელს ქართველ რეჟისორებს შესაძლებლობა მიეცემათ თავიანთი ფილმები ვატიკანის მიერ ორგანიზებულ კინოფესტივალზე „მესამე ათასწლეული“ წარადგინონ. აღნიშნული გადაწყვეტილება ვატიკანში კულტურის საკითხებში პაპის საბჭოს პრეზიდენტთან, ჯანფრანკო რავაზისთან შეხვედრის დროს იქნა მიღებული. შეხვედრას ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე, საქართველოს ელჩი წმინდა საყდართან თამარ გრძელიძე და ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი.

ასევე, რეჟისორ და დოკუმენტალისტ კარლო ჰინდერმანთან ვიზიტის დროს დაიგეგმა ქართული დოკუმენტური ფილმების ჩვენება, რომელიც რომში შედგება.

ცნობილი გერმანელი ანიმატორი გერჰარდ ჰანი საქართველოში ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოვიდა

ცნობილი გერმანელი ანიმატორი გერჰარდ ჰანი თბილისს 28 მაისს ეწვია. მან ვორჰოპი ჩაატარა, რომელსაც ქართველი ანიმატორები, პროდიუსერები და გამომცემლები დაესწრნენ. გერმანელი ანიმატორის ვიზიტი პროექტის „საბავშვო ლიტერატურაზე დაფუძნებული ანიმაციური ფილმის შექმნა“ ფარგლებში დაიგეგმა, რომელსაც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი, ანიმაციურ ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ნიქოზი და წიგნის ეროვნული ცენტრი ერთობლივად ახორციელებენ.



გერჰარდ ჰანი საბავშვო ანიმაციური სტუდია „ჰან სტუდიოს“ მფლობელი და სამხატვრო ხელმძღვანელია. გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ანიმაციურ სტუდიას 35 წლიანი გამოცდილება აქვს სრულმეტრაჟიანი და ანიმაციური საბავშვო ფილმების წარმოებაში. (სტუდიის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პროექტია ანიმაციური სერიალი „1001 ღამე“.)

გერჰარდ ჰანი წინასწარ გაეცნო იმ საბავშვო ლიტერატურას, რაც საქართველოში გამოდის, შეარჩია საუკეთესო პროექტები, რომელთაც იგი ევროპულ ბაზარზე ღირსეულად წარსადგენად მოამზადებს.

საქართველომ სტამბულში გამართულ ინდუსტრიულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა

ეროვნულმა კინოცენტრმა 14-16 აპრილს სტამბულის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ ინდუსტრიულ შეხვედრებში „Meetings on the Bridge“ (შეხვედრები ხიდზე) მიიღო მონაწილეობა. ფესტივალის ძირითადი თურქულ კინოზეა ორიენტირებული, წელს კი ინდუსტრიულ შეხვედრაში ფესტივალის ორგანიზატორებმა მეზობელი ქვეყნებიც ჩართეს. ეროვნული კინოცენტრის შესახებ პრეზენტაცია კინოცენტრის დირექტორის მოადგილემ - გიორგი ხაბაშვილმა გამართა. ქართველმა რეჟისორმა თინათინ ყაჯრიშვილმა და პროდიუსერმა ლაშა ხალვაშმა კი საერთაშორისო კინოსექტორის წარმომადგენლებს ახალ პროექტი „მანჯი“ წარუდგენეს.



ირანთან კოპროდუქციის შესაძლებლობები ფაჯრის საერთაშორისო ფესტივალზე განიხილეს

28 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით თეირანში ფაჯრის საერთაშორისო ფესტივალის გაიმართა, სადაც ირანთან კინოსფეროში თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ფესტივალზე იმყოფებოდნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე ნინო კუხალაშვილი და რეჟისორი ქეთევან მაჭავარიანი. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა პირველი ასამბლეა კინორგანიზაციების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრას ესწრებოდნენ პოლონეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანის, სასომხეთის, სინგაპურის, რუსეთის, სირიის, აფრიკისა და ტაჯიკეთის წარმომადგენლები. ირანმა დიდი დაინტერესება გამოხატა ფესტივალის მონაწილე ქვეყნებთან თანამშრომლობის თაობაზე.





„ყარასტანში დაკარგული“

მონრეალის, ლონდონის, კლივლენდისა და ჰამბურგის საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოგზაურობის შემდეგ, „ყარასტანში დაკარგული“ 14 მაისიდან საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა. ფილმი შავი კომედიაა ერთ დროს ოსკარზე წარდგენილი, ხელმოცარული ამერიკელი რეჟისორის, ემილ მილერის შესახებ, რომელსაც განვითარებად კავკასიურ რესპუბლიკაში ეროვნული კინოეპოპეის შესაქმნელად იწვევენ. რეჟისორს ეგზოტიკურ და ღარიბ ქვეყანაში მოგზაურობა თავდაპირველად რომანტიკულად კი ეჩვენება, მაგრამ ყველაფერი არც ისე მარტივია, როდესაც ქვეყანას ექსცენტრიული, იდუმალი, კორუმპირებული დიქტატორი აბაშალიევი მართავს. კინოგადაღებები მოუღებდნელი, სასაცილო და საკმაოდ უსიამოვნო სიურპრიზებით არის სავსე, ემილ მილერისთვის კი დიქტატორი მმართველისგან თავის დაღწევა არც ისე ადვილი აღმოჩნდება.

„ყარასტანში დაკარგული“ საქართველოს, დიდი ბრიტანეთის, რუსეთისა და გერმანიის კო-პროდუქციაა. ფილმის რეჟისორი ბენ ჰოპკინსია, სცენარი კი მასთან ერთად პაველ პავლეკოვსკიმ შექმნა. აღმასრულებელი პროდიუსერი ოსკარზე სამჯერ ნომინირებული სტეფან დალდრია, რომელთან ერთადაც პროდიუსერთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით მუშაობდა: ვლადიმერ კაჭარავა, მაიკ დაუნი, სემ ტეილორი, არტიომ ვასილიევი, დანიელ ზუტა. ფილმში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მსახიობები.

„9 მთას იქით“ - ლევან თუთბერიძის ფილმის მსოფლიო პრემიერა სიეტლის ფესტივალზე შედგა

ლევან თუთბერიძის ფილმის „ცხრა მთას იქით“ მსოფლიო პრემიერა შეერთებულ შტატებში - სიეტლის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში 15-16 მაისს შედგა. სიეტლის საერთაშორისო კინოფესტივალის ვაშინგტონში 1976 წლიდან ტარდება და იგი ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე პრესტიჟული ფესტივალების სიაში შედის.

ქართველი რეჟისორის ფილმი უკურნებელი სენით დაავადებული ფოლკლორის პროფესორის, გურამის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფოლკლორის შესასწავლად მიემგზავრება. მას ახალგაზრდა მეუღლე, ლონდონიდან ჩამოსული ასისტენტი ნიკა და ნიკას ინგლისელი მეგობარი გოგო უერთდებიან.



„ცხრა მთას იქით“ ეროვნული კინოცენტრის 2013 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ფილმში მთავარ როლებს კრისტალ ბენეტი, თორნიკე ბზიავა, მიშა გომიაშვილი, გივი ჩუგუაშვილი, ეკა მოლოდინაშვილი, ნუგზარ ყურაშვილი, მარლენ ეგუტია, ვახტანგ ჩაჩანიძე და ანასტასია მენაბდე ასრულებენ.

ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“

7 მაისიდან საქართველოს კინოთეატრებში ახალი ქართული ფილმი, ლევან კოლუაშვილის „შემთხვევითი პაემნები“ გამოვიდა. ფილმმა 20-მდე სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა აღიარება, მათ შორისაა ბერლინალე - ფორუმი, ტორონტოს კინოფესტივალი - ოფიციალური სელექცია, სოფიას საერთაშორისო კინოფესტივალი - გრანპრის მფლობელი. სოფიაში ფილმს ასევე მიღებული აქვს პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის და კინოკრიტიკოსთა სპეციალური ჯილდო.





ფილიპინებზე ქართული კინოს დღეები გაიმართა

საქართველოს საპატიო კონსულის, ბუდი კუნანის ორგანიზებით, ფილიპინებზე ქართული კინოს დღეები გაიმართა. ღონისძიება მსოფლიო პრემიერების კინოფესტივალის ფარგლებში მოეწყო, რომელსაც საქართველო წელს პირველად შეუერთდა. ქართული კინოს დღეები 30 ივნისიდან დაიწყო. ნაჩვენები იქნა თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“ და ლევან თუთბერიძის „ცხრა მთას იქით“.

სტიქიით დაზარალებულ ოჯახთა მხარდასაჭერად ყაზახეთში ქართული კინოს კვირეული გაიმართა

25 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ყაზახეთის ქალაქ ალმაატაში ქართული კინოს კვირეული გაიმართა. იგი ქართული კინოინდუსტრიის პოპულარიზაციის გარდა ქველმოქმედებასაც ისახავდა მიზნად. კვირეულის ფარგლებში მოეწყო საქველმოქმედო ვახშამი და აუქციონი, შემოსული თანხა კი 13 ივნისის თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს გადაერიცხათ.

ქართული კინოს კვირეულის ფარგლებში აჩვენეს ზაზა ურუშაძის ფილმი „მანდარინები“, გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ და „სიმინდის კუნძული“, ასევე ქართული კინემატოგრაფიის შედეგები: ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები



ანუ დაუჯერებელი ამბავი“, ნანა მჭედლიძეს „პირველი მერცხალი“ და გიორგი შენგელაიას „ვერის უბნის მელოდიები“. კვირეულის მიმდინარეობისას გაიმართა ფოტოგამოფენა „Spectacular Georgia“, სადაც წარმოდგენილ იქნა საქართველოს ლანდშაფტების, ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ახალი არქიტექტურული ნაგებობების ამსახველი 80 ფოტოსურათი.

ქართული კინემატოგრაფიის კვირეული საქართველოს საელჩოს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრის და ყაზახეთის რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით იმართება.

4 ქართული პროექტის წარმატება გიუმრიში

ქართველი კინემატოგრაფისტები გიუმრიში (სომხეთი) იმყოფებოდნენ, სადაც ფრანგულმა ორგანიზაციამ „ევრაზიადოკი“ დოკუმენტური სცენარების განვითარების რეზიდენცია ჩაატარა. საქართველოდან რეზიდენციაში მონაწილეობას იღებდა 4 პროექტი :

- „აბასთუმანი“ - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგტი
- „გენეტიკური კოდი“ - გიორგი ვარსიმაშვილი
- „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ - ანა ძიაშვიძე
- „ქალები, რომლებიც ცურავენ“ ანუნა ბუკია

რეზიდენციის შემდეგ პროექტის ავტორებმა საკუთარი პროექტები ფრანგ და ადგილობრივ პროდუსერებსა და ტელევიზიის წარმომადგენლებს წარუდგინეს. ქართულმა პროექტებმა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

ევრაზიადოკის პროექტში მონაწილეობის მისაღებად კონკურსის პირობები ეროვნული კინოცენტრის საიტზე გამოქვეყნდა, რის შემდეგაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საქართველოდან სწორედ ეს ოთხი პროექტი შეარჩიეს.





პროექტის „კინო სკოლაში“ პირველი სესია ნანა ჯანელიძის ფილმის ჩვენებით დაიხურა

13 ივნისს პროექტმა „კინო სკოლაში“ პირველი სესია დახურა. კინოსკოლელები შიდა ქართლის 20ამდე სკოლიდან ხაშურში შეიკრიბნენ და შემაჯამებელი კინოჩვენება მოაწყვეს. სპეციალურად ამ დღისთვის ხაშურში ჩავიდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე, რომელის ფილმითაც „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ პროექტის პირველი სესია დაიხურა. პროექტი „კინო სკოლაში“ ითვალისწინებს საქართველოს რეგიონებში მე-7-მე-11 კლასის მოსწავლეთათვის კინოჩვენებების და დისკუსიების მოწყობას სპეციალურად შერჩეული კინოსპეციალისტების - კინომისიონერების მონაწილეობით. პროექტი 2014 წელს დაიწყო და დღემდე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არაერთი კინოჩვენება მოაწყო. წინ კინოსკოლელებს ახალი პროექტი „ზაფხულის კინოსკოლა“ ელით, რომელიც მაღალმთიანი და საზღვრისპირა სოფლების სკოლებზე იქნება ორიენტირებული და სტარტს ივლისის მეორე ნახევარში აიღებს.



კინოსკოლელების წარმატება საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს პეპელა“

30 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით „ევროპულმა სკოლამ“ საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალს „ოქროს პეპელა“ უმასპინძლა. ფესტივალში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ეროვნული კინოცენტრის პროექტის „კინო სკოლაში“ მონაწილეები. სხვადასხვა ნომინაციაში კინოსკოლელების 5 ფილმი მოხვდა, ხოლო გამარჯვებულები გახდნენ :

1. მარიამ მარგველაშვილი საუკეთესო სცენარისთვის (ფილმი „სიზმარი“)
2. ანი ლაშხი, როგორც საუკეთესო მსახიობი გოგონა (ფილმი „ფატი“)

ასევე ხმის მიცემის შედეგად მაყურებელთა რჩეული გახდა ფილმი „ფატი“



საქართველომ ევროპის 25 ქვეყანასთან ერთად ევროაკადემიის ნორჩ მაყურებელთა დაჯილდოვებაში მიიღო მონაწილეობა

საქართველომ ევროპის 25 ქვეყანასთან ერთად ევროაკადემიის ნორჩ მაყურებელთა დაჯილდოვებაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება Noosfera Foundation-ისა და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი ძალისხმევით 3 მაისს გაიმართა.

ევროაკადემიის მიერ შერჩეული იყო 3 ფილმი, რომელთა ჩვენებაც კინოთეატრ „ამირანში“ დილის 9 საათიდან დაიწყო. თითოეული ფილმი 12-14 წლის 60 ქართველი ბავშვისგან დაკომპლექტებულმა ჟიურმა განიხილა, დღის ბოლოს კი ბავშვებმა საუკეთესო ფილმი შეარჩიეს.

პარალელურად იგივე ღონისძიება მიმდინარეობდა ევროპის დანარჩენ 25 ქვეყანაშიც. თბილისის დროით 22.00 საათზე, გერმანიის ქალაქ ერფურტში ყველა ქვეყნის შედეგი დაჯამდა. ევროაკადემიის ნორჩ მაყურებელთა ჯილდო კი ფილმს „უჩინარი ბიჭი“ გადაეცა. დაჯილდოვების ცერემონიის ნახვა ონლაინ რეჟიმში ყველას შეეძლო მოცემულ ლინკზე - yaa.europeanfilmawards.eu

საქართველო წელს ევროაკადემიის დაჯილდოვების ცერემონიაში უკვე მეორედ მონაწილეობდა. პროექტის მიზანია ბავშვებს განუვითაროს ანალიტიკური აზროვნება და მათ სხვადასხვა სახის დისკუსიებში ჩართვას შეუწყოს ხელი.

www.gnfc.ge



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
საინფორმაციო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge